

საქართველოს მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკური კურსი

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში

(ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი)

გიორგი ნონიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის  
მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (კავკასიის კვლევები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ნონიაშვილი

27.01.2018

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საქართველოსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ურთიერთობები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს გამოკვეთილი ინტერესები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მიმართ და რეგიონში გასატარებული პოლიტიკის ანალიზი სამი ხელისუფლების პირობებში, 1991 წლიდან 2012 წლამდე.

ნაშრომის საკვლევ კითხვებს წარმოადგენს, თუ რამ განაპირობა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ხაზის გაძლიერება ან შესუსტება და რა ინტერესები გააჩნდა საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში 1991 წლიდან 2012 წლამდე.

ნაშრომი თვისებრივი კვლევის კონტენტ და დისკურს ანალიზის მეთოდით მიმოიხილავს საქართველოს და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ურთიერთობების ამსახველი დოკუმენტების შინაარსს; პოლიტიკური ლიდერების და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირების განცხადებებს; საჯარო მედიის მასალებს და უწყებრივ და ნორმატიულ დოკუმენტაციებს.

საქართველოს მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მიმართ ინტერესების გამოკვლევისთვის ოფიციალურად გაცხადებული პოზიციების და დოკუმენტების ინტერპრეტაციისთვის ნაშრომში გამოყენებულია დისკურს-ანალიზის მეთოდი.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები იმ პირებთან, რომლებიც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაში, საგარეო პოლიტიკის დაგეგმვასა და საქართველო-ჩრდილოეთ

კავკასიის ურთიერთობების წარმართვაში იღებდნენ მონაწილეობას 1991 წლიდან 2012 წლამდე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული წონის ზრდის მცდელობები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში რამდენიმე რეგიონალურ ინტერესს ემსახურებოდა, რომელთა შორისაც გამოიკვეთა ოფიციალურ მოსკოვზე დამატებითი პოლიტიკური ზეგავლენის მქონე ბერკეტების წინ წამოწევა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების მხარდაჭერის განეიტრალების ინტერესი სეპარატისტული რეგიონებისადმი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** *ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია, საქართველოს ინტერესები, ჩრდილო-კავკასიური პოლიტიკა.*

## **Abstract**

The following paper deals with the relations between Georgia and the North-East Caucasus after the collapse of the Soviet Union. The study analyzes Georgia's specific interests towards the North-East Caucasus and the policy towards the region under the three governments from 1991 to 2012.

The research questions are as following: what was providing conditions for strengthening or weakening of the North-Eastern Caucasus line in Georgia's foreign policy and what were Georgia's interests towards North-Eastern Caucasus from 1991 to 2012.

The paper reviews the content of the documents reflecting the relations between Georgia and the North-East Caucasus based on a. content and discourse analysis method; b. in-depth interviews with leaders and politicians responsible for national security policy; c. publicly available media content and d. normative acts and documentations.

The discourse-analysis method is used in order to analyze official positions towards the Georgian interests in relation to the North Caucasus as well as for interpreting the official documents. Within the framework of this research in-depth semi-structured interviews were conducted with politicians, who were participating in framing and planning Georgia's national security policy and policy towards the North Caucasus from 1991 to 2012.

As a result of the study it was revealed that attempts to increase the political and cultural weight of Georgia in the North-East Caucasus were serving a number of regional interests, including the emergence of additional political leveraging on official Moscow and the neutralizing the support of North Caucasian peoples towards separatist regions.

***Keywords:*** *North-East Caucasus, Georgia's Interests, North Caucasian Policy.*